

5-22  
08



# ნაბავი ჭრილობის № 8

ნაბავი ჭრილობის  
უკანასკნელი

1908

ევინგ

ტლოვანობათვის.

1900 ლი



## შინაარსი

- I— მოზარდ თავობას.— კნ. ნინო თრტელიანისა . . . . . 3
- II— ლიტონიაზედ.— (სადღგომო მთხმრობა) დემია მროვცისა. 5
- III— ზღაპარი ლორისა, იმისი ხუთი გოჭისა და მგლისა.—  
(საღწევი) თ. რაზიკაშვილისა . . . . . 11
- IV— რა გეიამბო დედამ.— IX. წერილი. — (გაგრძელება,  
თარგმანი) ან. ამილაზერისა . . . . . 16
- V— ყვავი-ყვანჩალა და იალონი.— ზღაპარი შაშინ-სიბირია-  
ჯისა, დემიასი . . . . . 19
- VI— გასართობი:— ა) მგზვერი ლა ავაზაკი,— ბ) გამოცა-  
ნები,— გ) რებუსი და ალნა . . . . . 23



# ნავალული

Nº 8. 6-22.

მარკ ტერვანიაშვილი




ძნელია, ქვეყანაზე ცხოვრება!

ن کوہاٹ ۸۹۳ جپ

ტფილისი, ყველაზენის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა აშხანაგობისა.

## შინაარსი

I — მოზარდ თაჭობას. — ქ. ნინო ღრმულიძისა	3
II — ლიტონიაზედ. — (საადგენო მოთხოვება) დემხა მროვცისა.	5
III — ზღაპარი ლორისა, იმისი ხუთი გოჭისა და მგლისა. — (ხადხური) თ. რაზიკაშვილისა	11
IV — რა გვიამბო დედამ. — IX წერილი. — (გაგრძელება, თარგმანი) ან. აშილასკერისა	16
V — ყვავი-ყვანჩალა და იადონი. — ზღაპარი მამინ-სიბირია- კისა, დემხასი	19
VI — გასართობი: — ა) მგზავრი და ავაზაკი, — ბ) გამოცა- ნები, — გ) რებუსი და აღსნა	23



## მოზარდ თავისის



ანახლებულა ბუნება,  
შირს იბას დილის ნამითა,  
ცეპრიან ბაღას შეე აშრობს,  
მდელო იმოსა მწვანითა

ბუჩქები აკოკობულან,  
ძირს დასცექრიან იასა,  
ზაფხულის მასარობელსა  
ნაზსა და სურნელიანსა.

ქრიამულია სოფელში,  
სარობენ გაზაფხულითა,  
უხვადა ჰერეფენ ეგავილებს  
ბავშვები სისარულითა.

სელი-სელ გადასვეული  
მირბიან ენებისენა,  
მათ ეველა ატებობს, ახარებს—  
გალობა, ფრინველთა სტენა.


პატარა ნაკადულებიც  
მორბიან განქარებული.  
მდინარის პირად ცელქობენ  
ბავშვები აღტაცებული:

სან ბუჩქებისკენ მირბიან,  
უკლიან მინდოორ-ეანასა,  
სან ჭრთად შეკრებილები  
მართავენ არაფანასა,

ილწენებ უხრუნველები,  
მსიარულობენ გულითა,  
გაზაფხულს ეგებებიან  
აღვსილნი სისარულითა.

კნ. ნინო ორბელიანისა





## ლიტონიაზე

(სააღდეომო მოთხრობა)

### I



დდგომა დამეს დიდი სამხადისი იქო თაფლოს  
ოჯახში. სამხარეულოში ფუსფუსი გაჲქონ-  
დეთ მხარეულს არჩილს, გადია ბაბალეს და  
თითონ თაფლოს; არჩილი ბატქანს და კოჭს  
სწვავდა; ხანდახან ღუმელის კანს გამოაღებდა  
და შეჭერავდა ხოლმექატოშემოკრულს გოჭს,  
რომ არ დამწვარიერ. ბაბალემ ბატის მარილი დააყარა, დასდო  
სანუედ და შესაწვავად დაუმხადა არჩილს, შემდეგ, ცხელს  
წელში გაფუფქა თოხი გასუქებული დედალი და შაქროსთხნ  
ერთად ბდევნა დაუწეო; შემოაცებლა ბუმბული უველას და ან-  
თებულს ქადაღდი მიუმვირა, რომ ბეწვი შესტრუსოდა. თა-  
ფლო ქვერცხებს დებავდა ვამალებული, იქვე მდგომი სამსონი  
კი იღებდა თბილს ქვერცხებს და ერთო წასმული ტილოთი  
სწმენდდა, რომ პრიალი დაეწეო. ერთი სიტყვით, დადი მისლა-  
მოხლა იქო სამხარეულოში, საღაც შემწვრების სუნი ბავშვებს  
სააძმურა უღრატინებდა ცხვირის ნესტოუბში და მაღას უსხნიდა  
უკანასკნელს ქვირას აღკრძალულ სახსნილო საჭმლისას.  
ოთახში, მავიღაზედ სააღდღვომო ნამცხვრები კლავა, რომელთა  
მორის რამდენიმე ჸატარაც იქო ბაგშვებისთვის; შაქრის და სამ-

სონს არიდებასთვის სჭირდებოდათ ეს პატარა ნამცხვრები და კიდევ სხვა რამ. ამიტომ სამსონი მომწოდოდის კვერცხებსაც ეძებდა დიდებში და თავიანთვის გვერდზედ აწებდა. რამ-დენიმე დაჭრელებული კვერცხიც იქო, საკუთრივ მათთვის. უკლია ეს გადიას ხელიაბ იქო, რომელმაც კარგად იცოდა თავის ცელქების სიამოვნება.

— დედილო! — ქეკითხა სამსონი, — ლიტონიაზედ ხომ წავ-  
გიაგან?

— დაიცა ერთი, შენს გახარებასა, რა დოოს ლიტონია! დედაქაცს აქ ჩემი თავისა არა გამებება-რა და ეს კი ერთსა და იმავეს მეტედ მკითხავს. — მოიძორა თავიდან მოუწვენარი თაფლობმ.

— ჩემს დღემი არა კუოჭილვაზ და არც ახლა უნდა წა.  
კიდე? ქსლაც ხომ ბატარა აღარა ვარ, რომ მეუბნებოდი ხოლ-  
მე, რეა წლისა გაუსდი პირებ.

— უჰ, რა დიდი უოფილხარ, თითქმის დაბერდი კიდევ! —  
გამოეხუმრა გადია სამსონს, — ჭავარა გამოჭრევია საწყალს,  
უძურეთ.

სამსონს არ ესიამოვნა გადღიას სუმრობბ და იწეინა. და დამ შეატეო ეს და დამშვიდება დაუწეო, გული გაუკეთა.

— ხომ გითხარი, წაგიევან მეთქი და სელწერილს ხომ არ ჩაძოშაროთმევ?

— ის ძარშან იუო, წლეულს სხვა წევიწადია!

— არც მე დავიძინებ! — შეუტოა თავის სმა შაქრობ.

— კარგი ერთი, გეულყათ მაგდენი წუწუნი, დედაბრები სომ არა სართ! — შეუტია გადიამ ბავშვებს. — გეთაუვათ, გული გააწვრილეს, არაქათი ადარა მაქვს ამათი უბედობით და ღუდუნით.

— არ დაიძინებთ და ნუ დაიძინებთ! იუსკით მერე ჭრატებივით. აბა, სახეზედ დაიხედეთ, როგორ ფერი წაგივიდათ უძილობისაგან. ათი საათია და ისევ ზეზედა სართ. წასულია ეპით, დაგეძინათ ლამაზად, თავის დროზედ გაგადვიძებდით და წაგიუსანდით კადეცა. რა სჯობდა ამას! კარგა გამოიშუ შებოდით და ადარჩ მილი დაგაკლდებოდათ. — წაუკითხა „სასარება“ თავლომ ბავშვებს.

არჩილმა გოჭი გამოიღო ქურადან. საამური სუნი უფრო გამლიერდა სამზარეულომი, რადგან გაღებულ ქურის კარიდან იქ დასმული შემწვრის ოშივარი გარედ გამოვარდა და ჭარბი გაურცელდა, მით უმტკის რომ არჩილმა სეღმურულ შემჭრელ ქურაძი სელი, ლორი გამოიღო და გოჭს მოუდგა გვერდით. მაქრომ ვეღარ გაუსმლო ცდენას, მივიღა და ისე სარბად დაუწეო სუნა შემწვრებს, რომ თითქმის ზედ დაადო ცხვირი; ჯერ გოჭს უსუნა, მერე ღორის და ბოლოს ისევ გოჭსედ გადაიტანა.

— მუცელა ნუ სარ, აქეთ გამოდი! — შენიშნა თაფლომ შვილს. — ბარემ სჭამე და ის იქნება, რაზას უჟურებ. არ იცი, რომ ეგ უფრო დიდი ცოდვაა, კიდრე ჭამა?

— მაშ, რაკი ჭამა სჯობია, კიასლები კიდეც ბარებამ! — კისკისით მიუგო შაქრობ.

— ეს ოხერი მარხვა ვიღამ გამოიგონა! თუ სეალ იჭმევა, დღეს რაღა არის, ისეთივე დღე არ არის? მართლა, რა კარგი სუნი დადგა, დედილთ! — შენიშნა სამსონმა და ნერწევი ჩაელაპა. — ან გელოზს შეაწდენს.

— სულ რაღაც ორი საათი დაგრჩენიათ და თქვენი მუ-

— თქ, თქ, ასლა ეგ მოიძინებე, კარგი საბუთია! კიდევ  
კარგი, არ გვიწამია. — შესძახეს მექმა ერთად.

ბავშური მოუთმენლოდით ელოდნენ მმები ლიტონიაზე  
წასკვლას; თვალები ესუსტოდათ უძილობისგან, მაგრამ თავს  
იმსერებდნენ და, რაც მხვად და ღონე ჰქონდათ, ფხისფლიბ-  
დნენ. პო იცოდნენ, როგორ მოქცეულიერნენ, რომ დრო მა-  
ლე გასულია.

— მოდი, სათი წინ გადაეტოთ, — უჩია შექრობ მდის  
დიდი ფიქრის შედეგი.

— რა ბრძნელი სიტყვა მითხარი! მერქ, აქამდის მაგა-  
ზედ ფიქრობდი? — მოუკო სამსონმა. — ჟე სულელო, ჟენი გუ-  
ლისთვის შეადგისძეს-ებ არ დაიწეუბენ ღირებულის.

ბავშვებმა თავის საკუთრება, ესე იგი შატარა ნაძლევორები, ციცირის გვერცხები და ზოგიც მოსრდილი, რომლებიც დიდი ბჟობის და კბილებსებ რაგენის შეძლებ მაგრებად იქმნენ მიწეული, ხალი და სხვა ტკბილეულობა ფალგე მოგროვეს და ისალს ტინისამოსს დაუწეს სინ ჯებ.

— ია, რა კარგი ჩოსები გვაქვს! — სოჭა სამსონმა.

— ხმალს დასე და, რა ხავერდი აკრავს. კერცხლის ხან-  
ჯალს რაღა უჭირს ვითომ. — აღტაცებაში მოდიოდნენ თრი-  
გონი. — ა, ბეჭმენტ შემოფლებული შესრუბი და ძვირები!

სამოქალაქო ბეჭდ და გერბის ბთი. ბავშვები სისარულით  
შექცნენ, მაგრამ კი გრძნობდნენ, რომ მიღი ერტყოდათ

— მოდი, ცოტა წავიძინთ. უფრო ფხისლად გიქებით, თორებ გ ზაში დაგვეძინება. — დიდი ეოუსნის შეძღვ სთქვა საძირჩა.

— სატარა საა ია მოქმართოთ და ზარს დაკვირექბას თერ-  
თმეტ წელი. — შენიშნა შაქრობი. ბაჟშვები მასცივდნენ საზოს და  
საჩუროდ მოქმართეს.



— ესლაკი ვეღარ მოგვატეუბნ და ცოტას დავიძანებულ  
კიდევ — წამოიძახა შაქრობ.

— ასლო დავიდგათ, რომ გაგვეღვიძოს. ასლა ხველ  
მიუკრე, ბიჭო, მიტოს რომ დავუპებ კვერცხებს. შარშან მე-  
ზობლებში აცდაათი კვერცხი მოვიგე და მერე მათხოვორებს  
დაგურიგე.

— მიტო ცოტა ეშმაკია, ფრთხილად უნდა ვიუთ, ჩაკი-  
რული კვერცხი არ შემოგვაპაროს, ან სათამაშო ხის კვერ-  
ცხები.

— ის მე ვერ მომატეუბნ, — დაიქად შაქრობ. — მე სურ-  
ხები ვიცო.

— იცი, შაქრო, როგორ უნდა დაიწიოთ კვერცხი: თავი  
ცოტათი უნდა უჩანდეს, თუ შენ დავიკრავს; მე ცერს შეგუბდებ  
ხოდმე, რომ ბევრცხს არ მოჰქვდებ და დაზიანდეს...

— ვიცი, ვიცი! — შეაწევეტინა შაქრობ. აბა დავიძინთ!

ბავშვები მაწვნენ და თვალები დახეტეს იმ იმედით, რომ  
საათი დარეკავდა და გააღვიძებდა.

— დედას და ვადიას როგორ გაუკვირდებათ ასლა, მმა-  
ნარეს რომ გვნახავენ. ის-კი არ იციან, რომ საათი მოვმარ-  
თეთ. — წაილულლუდა მიღმორეულშა სამსონმა.

მიღმა დიღხანს არ აცდევინა ბავშვებს და მალე ჩაიბარა.  
თავით თთხბძი შემოვიდა, ყენაკრეფით მიგიდა შათოან და  
საბნები მიაფარა.

— სხუ.. დასმინებით, არ გაადგიძო. — მიუბრუნდა ასლა დ  
შემოსულს კადიას და ორივენი ჩუმაღვე გავიდნენ. შაქრო სა-  
ზმარში სედავდა, რომ კათომ ლიტონაზედ იუპნენ და ამსა-  
ნავებს წითელ-კვერცხებს უცვლიაზნენ და თამაშობდნენ. საათმა  
დიღას ექსის საათზედ დარეკა: ბავშვებს მომართვის დროს  
ისრის გადაწევდ დავიწევდოდათ და საათმა წანად დარჩენილის  
ექსის საათზედ დაწევდო რეგაბ. ბავშვებს გამოეღვიძოთ და თევ-

ლები მოიფრქნიტეს. უკვე ნათელი იქო, დაჭრედეს საათს და ბირდაღებულები შეაჩერდნენ ერთმანეთს.

— სულ შენი ბრალია! — გადასძინა სამსონშა მაქროს. — ისარი რატომ არ გადასწიე?

— მე რა გივი, შენ არ მომართე? — უპასუხა შაქრომ და ზანტად დაიწუეს ორივემ ჩაცმა.

ასლა ადარ ემინებოდათ და კვერცხის დაჭვრას და ნატობდნენ...

დემია მროველი





ზღაპარი ღორისა, იშიტი ხუთი

გოჭისა და მგლისა

(ხალხური)



ეო ერთი ღორი, ჰეკჩნდა ხუთი გოჭი: მშიანა, მცივანა, თბილანა, გვიანა და მაგარა. დუდი ღორი ძალიან ჰქვიანი იქო, მაგრამ არც თუ გოჭები ჰეკჩნენენ უგუნურები. თვითონ მინდორში დაიარებოდა, სოხრიდა შიწას, ჰოულობდა და სწამდა მირხვენას, მაჩიტას, თეროს მირს და კიდევ ბევრს სხვა ბალახის მირებს, რაც თვითონ უკვარდა და მე კი არ ვიცი მათი სასელი. თუ ბალახი იქო ამოსული, თხრით თავს არ იწუხებდა, ბალახს საქონელივით სძოვდა, თუ სადმე ნაკარტოფილარს ჟიგულებდა, სიამოვნებით სხიხენდა დინგით, ჰოულობდა კარტოფილის მარცვლებს და აღტაცებით ახრამუნებდა.

— რა კეთილია კაცი! იძახდა ტრუსუნა. — იცოდა, რომ მე ასე მიუვარს კარტოფილი და მაწა ვაშლა და ამიტომ დაუტოვებია მიწაში აძღენი გერიელი მარცვლები!

არც დამხალ და ჭიან სიღას იწუნებდა, თუ კი შეხვდებოდა სადმე. რადა გავაგრძელო, სიმინდი და ენა ხომ სამოთხედ ეჩვენებოდა.

რაკი მაღა ძალაანი ჰქონდა, ჯიქანსაც მაღაზე იტეხდა რომთა და კოჭებიც გიტრებივით ჰქვანდა დასუქებულა და ჩარ-გვალებული.

ამასთან სუთავე გაფი ძალას ჰქვიანი და გამგონე იუნენ.

ერთხელ ღორი მინდორში მიწასა სჩიჩქნდა. ნაწვერალში თავის სორო ეპონა, სულ თავთავები გაძედილი, თითო თითოდ იღებდა გემრიელ სორბლის თავთავს და მადიანად აკატუნებდა. ამ ღროს თავს წაადგა ერთი მშიერი მგელი ბრიალა თვალებით და კაწვაწა კბილებით:

— გამარჯვება, ღორო! დაიმუვლა მგელმა. თან უნდოდ თავის სმისთვის სიტყბოება და სინაზე მიეცა, მაგრამ მაინც საზარლიად და სამაგლად გამოუვიდა.

ამ სმაზედ ღორი შეკრთა, ჯაგარი ეალეს დაუდგა.. მოისედა,— მგელია, თვალებს აბრიალებს, კბილებს აკაწვაწაწებს.

— რას აკეთებ ღორო? რათა სჩიჩქნი მა მიწას, რას ემებ? დაუკითხა მგელი.

— გადღებელოს ღმერთმა, ბატონო. მიუგო მოწიწებით მიშისაგან მოკუნტულმა ღორმა.

— რას ვაკეთებ და აი აქ თავის სორო ვიზოვნე, სულ თავთავებით არის გამოტენილი. იმ წეეულ თავუნას ჩაუზაღვია ზამთრის საზრდოდ, ესლა მე მივავენ და იმას ვაზნები; თუ მიირთმევთ, ბატონო, კაი მსუქან თავთავს აგირჩევთ, იქნება გესიამოვნოთ?

— რაო?! დაიღრიალა მგელმა.— გინდა უხები გამეჩაროს ეკლები და დამარჩხოს? მე გაუურებინებ შენ სეირხა! შენ გინ მოგვა წება, რომ ერთ საწეალ უღონო ცხოველს რას ვათვაულასით ერთი სორო თავთავი ძლიერს მოუკროვებია ზამთრის საზრდოდ, შეუნასავს, შენ-კი დასდგომისარ და მაგრე უსცინიდისოდ სტვლებავ! ისინი უნდა სიმძილათ დასოცენენ, შენ-კი შენა ძვილება დასუქით და შენი შავი მუცელი ამოჭუორო?! ამისთვის უნდა შეგწამო, მე ავაზაკო შენა! მოიხანიე ცოდნები! ღრიალებდა მგელი.

დორი მისვდა, რომ ამისი საქართველოს მაღლიან ცუდად იყო  
თუ რასმე არ მოახერხებდა. ტეულიად ხომ არ უთქვაშო „საქართველო  
სჯობის დონესა, თუ კაცი მოიგონებსათ“.

— რა მოვიგონო, როგორ გადვურჩე ამ სულთამბუთავს? ბუტბუტებდა ტრუხუნა.

— დიდებულო ბატონო! მოახერხა ტრუხუნამ. თქვენი ნებაა,  
რასაც მიზამთ თქვენს ვეხთა მტვერსა. ვინ დავიდგებათ  
წინა? მაგრამ სანამ ძემჭამდეთ, გთხოვთ ერთი სიტევა მათ-  
ქმებითთ, თუ თქვენი ნებაც იქნება.

— სთქვი ჩქარა, არ დამაგვიანო! დაიმუვლა მგელმა.

— მე ძალიან დიდი სნისა გახლავარო, სთქვა ტრუხუნამ,  
თქვენს პანას მოვესწარი.. რა ვაჟკაცი იყო, ის სულგუროსეული!.. ასე რომ აღარცუკი მახსოვს, რამდენი წლისა ვარ,  
ძვლები გამიქავდა და ტებვი სამინდად გამიმარტვდა; სიმსუქნე  
რაცა მქონდა, სულ ჩემმა სუთმა გოჭმა გამომწოვა რეხსთან  
ერთად, ესლა მე რა გემო უნდა ჩამარტონ? წამობმანდი ჩვენსა,  
ხუთი გოჭი მეფეს, ერთსა ჭირის მშიანა, მეორეს მცივანა,  
მესამეს თბილანა, მეოთხეს გვიანა და მეხუთეს მაგრა; სუ-  
თიშვი ისეთი მსუქნებია, რომ სულ ქონი გასდით. მობმანდი,  
როდელიც მოგეწონოს, ის წაიევანე, მერე თუნდ მეც შემწაძე,  
მაგრამ იმისთხანა გემრიელი და ქორება გოჭის სორცის შემ-  
დებ მე რადა გემოს ჩამატანო?!

მგელი ძალიან დააფიქრა ხუთი გოჭის ხსენებამ: სად ქორება  
გოჭების სორცი და სად ბეჭერი ღორისა.

— მაშ კარგი, მექემუვლა მგელმა, ესლა მენ შინ წადი  
და მეც საღამოზედ მოვალ, იცოდე, თუ მომატულე, ცუდად  
იქნება შენი საქმე.

— დიდი დღე მოგცეს გამექმა, დიდებულო ბატონო!  
შესტრუხუნა მოწიწებით ღორისა. მობმანდი სადამოზედ, უვე-  
ლანი სადორები ვიქნებით.

მგელი გზას გაუდგა. თან სადამოს გემრიელ ვახშამზედ  
ფიქრობდა, თან ტუქებს ილოკავდა და მსუქან გოჭების მოგო-  
ნებაზედ ნერწევსა ჭელაპაფდა.

ღორსაც რად დაუკენებდა იქ.—დმერთი არ გაუწერეს,—  
ფიქრობდა ღორი,—არ იყიქოს, რომ დღევანდელი პეტრენი  
ს ჯობის სვალინდელ ქათამსაო, არ მობრუნდეს და არ გამომ-  
ფაძლოს, წავიდე მივებატონო ჩემ შეილებს. ვნახო, რას წაი-  
დებს ჩვენგან!

დორი დაბრუნდა შეილებთან, უამბო, რაც გადასძა და-  
რიგა, როგორ უნდა მოქმედიყვნებნ, ან რაც უნდა ეთქმათ,  
მგელი რომ მოვიდოდა და მოითხოვდა კარების გაღებას.

დაკეტბ ღორქა მაგრა საღორის ქარი, დაბწვინა შეიღები და თვითონაც საღორის ქართან დაწვა. მიღით-კი რა დაძინებს, მცდლს ელის.

კარგად რომ ჩამობნელდა, მოვიდა შექლი და საღორის კარი დაუკარგება.

— ვინა სარ? — იკითხა დორშა, ვითომ და აქ პრაფექტის  
რიაო. — რადა დორს სწუმრობაა, ამ დორს უკელა თავის  
ბინძუები არის!

— ଧି ହାର, ହାତାଳୀ, ଫରନ୍ଦ, ପାରୀ.—ମେଲ୍ଲିମୁହୂର୍ତ୍ତା ମୁହୂର୍ତ୍ତା.

— ღორიცა სარ და ბრწერა იცი რა! გასძახა ღორმა.—  
დაიკარგე მანდელან! რაკი ღორმა ასეთი ჰასუსი მისცა, მგელმა  
ასლა მძინას დაუძახა:

— მშიანა, გარი გამიდე!

მაგრამ მშიანა, დედისგან როგორც იქთ დაზიტებული,  
ისე მოიქცა:

— ჯერა მშიან, ძუძუსა ვწოვ, ძენთვის არამცალიან.—  
გამოსხავა მშიანამ.

— მციგანა! ქარი გამიღე! — შესძახა მგელმა ახლა მციგანას, რაკი მძინას გან ისეთი ჰასუხი მიღო.

— მცინა, გასძახა მცინანამ, რა ჭარის გასაღებად მცხელა.

-- თბილანა! კარი გამიღე! — შეკუმუვლა მგელმა თბილანას.

— შენ საქმე გამოვლენია, ძლივს სადმე თბილად ჩავწეუ; თუ არ დაგიძლია, შენი გულისთვის ახლა გვერდს გავიცია გებ! — გასძახა თბილანამ.

— გვიანა! კარი გამიღე! — შესძახა მცელმა ახლა გვიანას.

— გვიან გეღარქება კარის გადება, შე სისხლის მსმელო  
შენა! დაიკარე მანდედან! გამოსტევიტინა გვიანამ.

რაკი კარი არავინ გაუღო, მგლი სისილად გაბრაზდა.  
მაინც კიდევ სცადა და ახლა მაგარას დაუძახა:

— მაგარავ, კარი გამიღე!

— მაგრაა დაჭმტილი, არ გაიღება, — გამოსხახა მაგა-  
რამ. — სჯობია საიდანაც მოთრეულსარ, იქვე მიბმანდე! ვინ  
იქნება სულელი, რომ შენ კარი გაგიღოს. გასწი, დაიკარგე  
მანდედან!

საშინლად გაბრაზდა მგელი, სულ ცოფსა ჰერიდა.

— დაიცათ, თუ სულ არ დაგელაპოთ, თქვე უმსგავსე-  
ბო, თქვენა!

ერთი კარი გამიღეთ! უშოდა მკელი. მაგრამ კარს მაინც  
არავინ უდებდა.

იღგა დიდხანს მგელი, ან ახლა გამიღებენ კარსა, ან  
ასლაო. მერე თვითონაც სცადა კარის გადება, მაგრამ მართლა  
მალიას მავრა აღმოჩნდა დაჭმტილი. მეტი ღონე არ იქო, ცა-  
რიელი მუცლით უნდა წათრეულიერ თავის სარისაკენ მო-  
სისხლე მცელი.

ასე გადერჩა ღორი მგლის კბილებს.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.  
მთას ურეში ავაგორე, წამოგიდა გორებითა,  
აიგსენით ქონებითა, ჭკუითა და გონებითა.

თ. რაზიკაშვილი.





## ၬ၁ ဘဒေသဆို ဇာတ်

(Digitized by srujanika@gmail.com)

IX F 960 V3

ედი, დღეს ჩვენ ფოსტა გავმართეთ! გადიამ  
ნება მოგვცდა, წითელი სუკრა გადავევა-  
რებინა კუთხეში სკამზე; წერილები შეი-  
ჩაგრძელეთ, როგორც ფოსტის უფროი, მაგრამ  
იქნა ცვივა იატაკზე. როგორ მიდის წერილები დანიშნულებ-  
ისას მერად? — აი სდაპორ მოისმინეთ და თქვენ თითონ მის-  
ვდებო. მამიდი სოფელებში ცხოვრობდა, ქალაქისაკი მმისწუ-  
ლებია ჰქოვდა. ბავშვები გვად ივნის წითელით. ემაწვილები  
ძლიის უკარდა და სასუქრძა ლამაზის საობმიშვები გაუგზავნა,  
რომ ვართული იყნენ. ემაწვილებს უნდოდათ მადლობა მოქა-  
სენებისთვის მამიდასათვის, მაგრამ მორს იქო. მაშინ აიღეს  
ფოსტის ქადაღდი და მადლობა. მისწერეს — სათამაშოებით დი-  
დად ვისიასაუფერთო. ემაწვილები სულ ერთად სწერდნენ და  
მელანქი მოითხესნენ თათები. მერე შემკვეცეს ქადაღდი და  
ჩასდეს სახვევში და ზედ მარგაც დააკრეს. მარჯა მალე მიეკრა,  
რადგანაც ზედ წებო ჰქონდა წისული. ერგელ მარჯას აქვს  
ზედ წარწერილი ფისი; ქალაქის მარგები უფრო იაფია და სისა-  
ქმაქნები გასაგზავნი-კი უფრო მკირი. დედამ დააწერა ძღრენი,  
გადიამ წაიღო და ჩასდო ფოსტის უფროი. მრავალ სხვა წე-  
რილებს დაეცა ამ ემაწვილების წერილი, ფოსტალიონშა ამოა-  
ლაგა უფრიდან უკალა წერილება და წაიღო ფოსტაში, სადაც  
ასწონებს და დაჭკრეს მავი ბეჭედი მარკებს, რომ მარჯა არა

ისმარებოდნენ. ფოსტის მოხელეებ დაძმთავრა თავისი საქმე, წერილები ჩარკში და გადასცა ფოსტალიონს, რომელს მაც წაიღო დასარიგებლად სხვა და სხვა ქუჩებში. ის წერილი-კი, რომელიც უმაწვილებმა მისწერეს მამიდას, ცალკე ზარკში ჩასდეს სხვა წერილებთან ერთად. გარედ იდგა ზატარა ეტლი და ამ ეტლით წაიღეს წერილები რკინისუზის სადგურზე, ამ გვარად გაემგზავრნენ წერილები სხვა და სხვ, ქალაქებისკენ. უვალე მატარებელში არის ცალკე საფოსტო ვაგონი, სადაც ფოსტის მოხელეები არჩევენ წერილებს: რომელიც ქალაქებშია წასაღები. ერთად აწეობენ და სოფლებისას ცალკე; უოპელი სადგურზე ელიან ფოსტალიონები, რომელთაც ვაგონიდგან აბარებენ წერილებს, ისინიც თავის მხრით გადასცემენ თვის ქალაქის ან სოფლის წერილებს ფოსტის ვაგონს. აგრ მატარებელი გაჩერდა იმ სადგურზე, სადაც დგას მაგიდა, იქვე დგას ფოსტალიონი, რომელმაც წაიღო წერილები ფოსტის კანტორისკენ; იქ გაარჩიეს წერილები, დაჭრეს უკანასკნელად ბეჭედი და გადასცეს ფოსტალიონს დასარიგებლად. როდესაც მამიდა ჩაეიდა საუზმისთვის ქვემო სართულში, მაგიდას დაწვდი ის წერილი, რომელიც წინა დღით მმისწულებმა მისწერეს. სედავთ, რამდენი იმოგზაურა წერილმა, მანამ ბინას მიახწევდა, რამდენ მოხელის სელში ჩავარდა, რამდენი ბეჭედი დაჭრეს, მანამ მამიდას მიერთმევოდა და აცნობებდა, რასა სწერდნენ ზატარა საეგარელი მმისწულები.

— დედა, შენ ხომ ჩვენი წერილის ამბავი გვიამბე, რომ მელიც ჩვენ საეგარელ მამიდას მიგწერეთ. ნეტავი მეც ფოსტალიონი ვიუთ! წმოიძახა ემიძ.

— მთელი დღეს ქუჩებში ვივლი, ან რკინის გზით ვა-მგზავრებ.

— თქ, შვილო, შენ ერთს დღესაც ვერ შესძლებდი მაგ მმიძე საქმეს. იმათი შრომა ადვილი არ არის. შენ გვთნია,

ადგილია დილიდის სადამომდე ქუჩაში თრევა, რა დარიც უნდა იქოს? ანუ მთელს დღეს თავაუღებლად წერალების გარჩევა? რომ იცოდე, რამდენი წერილია გაუჩევლად ნაბიჯზე ადრესით! ბევრჯელ დიდხანს აღთვალინებენ ფოსტალიონს კარებთან, მანამ გაუღებენ. მანამ თქვენ თითოონ არ შეგიძლიანთ შრომა, ჩემთვის საუკარლებო, უცადეთ სხვას შეუმსუბუქოთ შრომა და პეტილად მიემველოთ უველას, ვინც კი თქვენ გქმარებათ.

ან. ამილახვრისა





## უკავი-უკანჩალა და იადონი

(ზღაპარი მამინ-სიბირიაკისა. გაგრძელება)

**Q**აფხულმა შეუმჩნევლად გაირბინა. თითქო შეე  
გაციებო და დღე დაპატარავდათ, ისე ვედარ  
ათბობდა და მალე დამდებოდა. დააწეო წვიმე  
ბი და ციგმა ქარმა დაუბერა. იადონი თავს  
უმელაზედ უბედურ ფრინველად სთვლია  
და, მეტადო მაშინ, როდესაც წვიმდა. უვაკი ვერავერს  
გრძნობდა.

— მერე რა არის, რომ წვიმს? — გაიკირგებდა სოლმე  
უვაკი. — იწვიმებს და გადიდარებს.

— ციგბ, დეიდო! უჟ, როგორა მციგა!

დამდამობით კიდევ უარესი იუო. გაწუწული იადონი მთლად  
ქანკალებდა. უვაკი კიდევ ჯაჭრობდა.

— რა ნაზი რამ უოფილსარ! ჯერ სადა სარ; ერთი აციგუ  
დეს და დასთოვოს!

უვაკი იწევნდა კიდევაც სოლმე.

— „მაშ რის ფრინველია, თუ ვერც წვიმას გაუძლებს, ვერც  
ქარს და ვერც სიცივეს?“ — ფიქრობდა უვაკი.

კიდევ გაურბინა ეჭიმა, იქნება ფრინველი არ იუოს და  
თავს ფრინველად მასენებდესა.

— ღმერთმანი, დეიდო, ნამდვილი ფრინველი ვარ! — არწმუნ  
ნებდა ცრემლმორეული იადონი. — ოფონდ მალიან მცირა...

— ტუკი! ფრინველისკი არა!..

— არა, ღმერთმანი, არა ვტუკი.

— გალიაში უოზნა მერჩივნა, — გაიფიქრებდა სოლმე იადო  
ნი. — არც სიცივე ვიცოდი, არც სიმშილი

რამდენჯერმე მიფრინდა იმ ფანჯარასთან, სადაც იმისი  
გალია იდგა; შიგ ორი ახალი იადონი იჯდა და იმის თა-  
ვისუფლებას შენატრიდნენ.

— რა ცივა!... — წრიპანებდა გაეინული იადონი. — ნეტავი  
თქვენა, რომ თბილება ხართ!

ერთს დილას იადონი, უვავის ბუდიდან რომ გადმოიხე-  
და, ნაღვლიანმა სურათმა გააკვირვა: დამე დედამიწა თოვლით  
დაფარული იყო. თოვლს დაეფარა ის მარცვლებიც, რომლითაც  
იადონი სასროლობდა. ჭნავიდა დარჩა; მარტამ იმას ამ მეავე  
ნაუოვის ჭამა არ შეეძლო. უვავი კიდევ შეკვებოდა ზედ,  
სჭამდა და აქებდა.

— რა კარგია, იფ!

ორი ღლე დამშეული იქო იადონი და სასოწარკვეთილე-  
ბას მიეცა.

ზის იადონი და ნაღველი აწევს გულზედ. ვნახოთ ბაღში  
მოწაფეებმა მოირბინეს, რომლებმაც უვავს ქვა ესროლეს, გაა-  
კეთეს მახე, დაჭეარეს გემრიელი ფეტეი და გაიქცნენ.

— ეს ბავშვები ბოროტები არ ეოფილან! — გაეხარდა ია-  
დონს და მახეს დააკვირდა. — ღლიდო, ბავშვებმა საჭელი მო-  
მიტანეს.

— კარგი მოგივა! — წაიბურტულა უვავმა — იქ არ მისვიდე,  
ახლოს არ გაუარო... გესმის? როგორც კი მარცვლებს კენ-  
გვას დაგწევბ, მახეში მოემწევდევი.

— მერე რა იქნება?

— მერე ისევ გალიაში ჩაგსვამენ...

ჩაფიქრდა იადონი: ჭამბაც უნდა და თავისუფლებაც. მართლია სცივა და ჭმია კიდეც, მაგრამ მაინც თავისუფლად ეოჭნა სჯობია, მეტადოვ მაძინ, როდესაც არ წვიმს.

რამდენიმე ღღე თავი იმაგრა იადონმა, მაგრამ ბოლოს გედარ გასძლო და მახეში მოჭევა.

— ვაიმე, მიშველეთ! — გაჭერვოდა იადონი. ეს რა ღმერთი გამიწერა!.. მირჩევნია მოვავდე, ვიდრე გალიაში დამამწევდიონ.

ეხლა კი ივრმნო იადონმა, რომ უვავის ბუდეზედ კარგი ქვეანაზედ არაფერია. რა საკვირველია, სცივოდა კიდეც და ჭმიოდა კიდეც, მაგრამ სრული თავისუფალი იქო. საბრალომ ტირილიც კი დაიწეო. ნასა უპავმა, რომ ცუდად იქო იმისი საქმე და მიემველა.

— ოჟ, შე სულელო! — ჩხავოდა უვავი. — ხომ გეუბნებოდი, სელს ნუ ახლებ მეოქი, ნუ მიეკარები მეთქი!

— დეიდო, კვლავ ადარ ვიზამ...

უვავი დროზედ მოურინდა. ბავშვები მორბოდნენ კიდე-ვაც, რომ იადონი გამოიევანათ, მაგრამ უპავმა მასის მაული ბი გაწევიტა და იადონი გაათავსუფლა. ბევრი სდიქს ბავშვებმა დაწევევლალს უვავს, ესროლნენ ქვებს და კოსებს და აკინებდნენ.

— რა მისარია! — ამბობდა გახარებული იადონი, როდესაც ისევ უვავის ბუდეში მოექცა.


— მაშ! თავისუფლებისთანა არა არის რა ქვეანაზედ.

იადონმა ისევ ეანხალას ბუდეში დაიწეო ცხოვრება და მას შემდეგ აღარც სიცივეზედ უჩივლია, აღარც სიძმილზედ.

ერთხელ ევავი საჭმლისთვის წავიდა და დამე მინდორში გაატარა. მინ რომ დაბრუნდა, ჩასა, იადონი ფეხებ აფშეკილი ეპდო.

თავი გვერდზედ გადიდო ევავმა, შესედა იადონს და სოქვა:  
— მაშინვე ვსოდე, ეს ფრინველი არ არის მეთქი.

დემნა





# გასართობი

შზავრი და ავაზაპი

(რუსულით)

ერთი ქაცი გზად მიდიოდა. დაწვდი ავაზაკი და რევოლუციის მიმდევრილი ფულსა სთხოვდა. მგზავრი არ შეძინდა და უცებ ხერსი იძმარა:

„ოდონდ ნუ მოძღვავ და დიდი სიამოგნებათ დაგითმობ, რაც ჯიბები ფული მაქვს,—ეუბნებოდა მგზავრი ავაზაკს, ხოლო ერთი თხილვა ამისრეულე: მევაღესთან მივდივარ ფულის მისაცემად. ხელცარიელი რომ მივიდე და ვუთხრა,—გზაში წამართვეს მეთქი,—არ დამიჯერებს. მოდი, ეს ჩოხა ტევიებით დაწვრიტე და მაშინ ჩემი მევაღე ეჭვის აღარ იქონიებს და დამიჯერებს“.

ავაზაკი დასთანხმდა მგზავრს და ჩოხის კალთები ტევიებით დაუხვრიტა. მგზავრმა კიდევ სითხოვა:

„გუთაუვა, ერთი ამ ქუდისაც ესროლე, რომ ჩემი მევაღე კარგად დარწმუნდეს, თორემ ცოტა სხვანაირი კაცია, და მეშინან, რომ არ დამიჯეროს“.

ავაზაკმა უთხრა.

— „ქუდისაც დაგისვრეტამდი, მაგრამ ტევია აღარა მაქვს“.

„მაშ უქაცრავად!—უპასუხა მგზავრმა; არც მე მაქვს სამწო ფული!.. და ჩქარი ნაბიჯით გაუდგა გზას.

მოტეულებული ავაზაკი პირღია დარჩა.

8 2 8 3 0 2 5 6 0 8 0

Ճռց մմա ճռուս, ճռց լծ ճռուս,  
Նշյլ տան քամդըքս Ռաֆայէլ մշշուալու:  
Ճռցա է վշիլուս մաս զարդյունա,  
Ճռցա մլույթ մշշուալու եմալու.

უსულო და უსხეულო,  
ხორციელის სახე არის,  
რასაც იშვმ, ისიც იშვამს,  
უცნაური რამე არის!

ၬ၁၂၆၀

(“შედგენილი გია აჩაშიძის მიერ”)



მთ-7 №-ზი მოთავსებული გამოცავის და რეგულის აღსრულება:

რებუსის ახსნა: — მოდი, ბიჭო, კვერცხი ღავკრათ  
შეღებილი ჭრელად, წითლად.  
ჩვენც ერთმანეთს მიგულოცო.  
ქრისტე აღსდგა! ჭემარიტად!

კამოცანების აფხენა: — ტიკი, სიმძილი.